სსიპ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების კომისიის სხდომის

ოქმი 2

სოფელი ბოსლები 16 ივნისი 2025წელი

მიმდინარე წლის 16 ივნისს სსიპ - დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლაში ჩატარდა სსიპ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის კომისიის სხდომა.

სხდომის დაწყების დრო: 10:00

სხდომას ესწრებოდნენ:

1.1. მაია ბეჟანიშვილი- სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე;

1.2. დალი ფოლადიშვილი - მდივანი;

1.3. მაია ადუაშვილი(მშობელთა წარმომადგენელი);

1.4. მარია ხმალაძე (მასწავლებელთა წარმომადგენელი);

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ, დამსწრე საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგი და მიმართა მათ, ხომ არ სურდათ დღის წესრიგში რაიმე საკითხის დამატება.

კენჭი ეყარა წინადადებას დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხრე : 4

მოწინააღმდეგე :0

თავი შეიკავა : 0

დაადგინეს : დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგი: სსიპ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების შესახებ.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ წევრებს გააცნო სსიპ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლების საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N2-110(1) ბრძანება და ისაუბრა კომისიის სამოქმედო გეგმაზე. კერძოდ, აღნიშნა, რომ კომისიამ გადახედა და შეამოწმა 2024-2025 სასწავლო წლის პირველი სემესტრის სკოლის განვითარების სტრატეგიული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

აღნიშნული დებულებიდან გამომდინარე კომისიას გადასცეს ყველა სახის დოკუმენტაცია, რომელიც შეიცავს ინფორმაციას

1. სკოლის დოკუმენტაციის შემუშავება, სკოლის ორგანიზაციული განვითარება.
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და სკოლის კომპიუტერიზაცია.
3. სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლება

4. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება
5. სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშეწყობის სხვა საშუალებებით.
6. სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, განვითარება და აღჭურვა.
7. უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა
8. მშობელთა ჩართულობა სასწავლო აღმზრდელობით პროცესში.
9. სწავლებისა და აღზრდის საქმეში მასტიმულირებული ბერკეტების მოძიება და გამოყენება.

აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლამ მეოთხე და მეექვსე თავში ვერ წარადგინა შესაბამისი დოკუმენტები, კერძოდ: 4.3 ტრენინგებისა და ვებინარების დაგეგმვა განხორციელება, 4.4 მათთვის განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მოუწოდა კენჭი ეყარათ წარმოდგენილი საკითხისთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომა დაიხურა.

სხდომა დასრულდა: 14:00

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე: /მაია ბეჟანიშვილი/

სამუშაო ჯგუფის კომისიის წევრები: /დალი ფოლადიშვილი/
/მაია ადუაშვილი/
/მარია ხმალაძე/